1975

ლამა ქურდიანი

ЛАМА КУРДИАНИ

ლამა ქურდიანი სამრეწველო გრაფიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილი (აკადემია 1962 წელს დაამთავრა), იგი ათ წელზე მეტია მუშაობს ხელოვნების ამ დარგში და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. მისი ნამუშევრები ექსპონირებული იყო სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებზე: იზმირში (1966 წ.), ალჟირში, მონრეალსა და პარიზში (1967 წ.), ბაზელში (1970 წ.), კაიროში, დასავლეთ ბერლინში (1972 წ.). ამავე წელს ისინი გაიგზავნა საბჭოთა დიზაინის გამოფენაზე ჩეხოსლოვაკიასა და ბულგარეთში, ბონაკო (1976)

მის მიერ შესრულებული სარეკლამო ფურცლები, ბუკლეტები, კატალოგები და პროსპექტები, სახვევები, რომელთა დანიშნულებაა საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის რეკლამა, მისი ლამაზად, მხატვრულად გაფორმება, გამოირჩევა შესრულების მაღალი პროფესიული ოსტატობით, ჩანაფიქრის ორიგინალობითა და დახვეწილი გემოვნებით.

1966 წელს ლამა ქურდიანი დაჯილდოვდა სსრკ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბრინჯაოს მედლით ქართული ღვინოებისათვის შექმნილი სარეკლამო ფურცლებისათვის.

1970 წელს მან მიიღო პრემია კონკურსში ჩაის შეფუთვის საუკეთესო გაფორმებისათვის.

მხატვარი განსაკუთრებული ეტაცებით მუშაობს საფირმო ნიშნების შექმნაზე. მის მიერ შესრულებული საფირმო ნიშნები ლაკონურია, აღსაქმნელად იოლი, მათ ახასიათებთ ფუნქციონალობა და გამოავლენენ წარმოების სპეციფიკას. ლამა ქურდიანის ოთხი საფირმო ნიშანი შევიდა საფირმო ნიშნების მსოფლიო კატალოგში, რომელიც დიზაინერთა იტალიის ასოციაციამ შეადგინა.

მისი საქმიანობა სამრეწველო გრაფიკის დარგში დაიწყო ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფილიალში, სადაც მუშაობდა ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1963 წ.) ვიდრე 1973 წლამდე; 1970 — 1973 წ.წ. იგი იყო სამრეწველო გრაფიკის განყოფილების მთავარი მხატვარი.

1973 წელს თბილისში მოეწყო სამრეწველო გრაფიკის პირველი გამოფენა, ლამა ქურდიანი მისი ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი იყო.

მხატვარს საინტერესო ნამუშევრები აქვს აგრეთვე დაზგური გრაფიკისა და წიგნის ილუსტრაციის დარგში, არის მრავალი პლაკატის ავტორი.

1975 წელს ლამა ქურდიანი დაჯილდოვდა სსრკ მხატვართა კავშირის დიპლომით ბაქოში ამიერკავკასიის მხატვართა პლაკატის გამოფენაზე.

არქიტექტორ ა. ქურდიანთან ერთად მას ეკუთვნის ფოთის საზღვაო ვოგზლის ბარის გაფორმება.

ლ. ქურდიანი მხატვართა კავშირის წევრია 1963 წლიდან.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ინგა ლორთქიფანიძე

Лама КУРДИАНИ — одна из ярких представителей промышленной графики. Воспитанница Тбилисской Академии художеств (окончила Академию в 1962 г.), она более десяти лет работает в этой области искусства и достигает значительных успехов. Ее работы экспонировались в разные страны на международные торгово-промышленные выставки: в Измир (1966 г.), Алжир, Монреаль и Париж (1967 г.), Базель (1970 г.), Каир, Западный Берлин (1972 г.). В этом же году они были посланы на Выставку советского дизайна в Чехословакию и Болгарию.

Назначение исполненных ею рекламных листов, буклетов, каталогов и проспектов, упаковок и этикеток — реклама промышленной продукции Грузии. Красиво и художественно оформленные, они отличаются высоким профессиональным мастерством исполнения, оригинальностью замысла и утонченным вкусом.

В 1966 году Лама Курдиани была награждена бронзовой медалью ВДНХ СССР за оформление рекламных листов грузинских вин.

В 1970 году она получила премию на конкурсе за лучшее оформление упаковки чая.

Художница с особым увлечением работает над созданием фирменных знаков. Выполненные ею фирменные знаки лаконичны, легки для восприятия, функциональны и отражают специфику промышленности. Четыре фирменных знака Ламы Курдиани вошли во Всемирный каталог фирменных знаков, составленный итальянской ассоциацией дизайнеров.

Ее деятельность в области промышленной графики началась в Грузинском филиале Всесоюзного научно-исследовательского института технической эстетики, где она работала со дня его основания (1963 г.) до 1973 года. С 1970 до 1973 г.г. она была главным художником отдела промышленной графики.

В 1973 г. в Тбилиси была устроена первая выставка промышленной графики, одним из организаторов и участниц которой была Л. Курдиани.

У художницы много интересных работ также в области станковой и книжной графики. Она автор множества плакатов.

В 1975 году Лама Курдиани награждена дипломом Президиума Союза художников СССР на выставке плаката художников Закавказья.

Вместе с архитектором А. Курдиани ей принадлежит оформление бара Потийского морвокзала.

С 1963 г. Л. Курдиани является членом Союза художников ГССР.

Кандидат искусствоведческих наук

Инга Лордкипанидзе

ОСЕННЯЯ
ВЫСТАВКИ

ВЫСТАВКА
ПРОИЗВЕДЕНИЙ
ЗАСЛУЖЕННОГО
ХУДОЖНИКА
ГРУЗ. ССР
Антимоза
ГОРГАДЗЕ







საქართველოს მხატვართა კავშირი
საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული
ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება
СОЮЗ ХУДОЖНИКОВ ГРУЗИИ
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ДРУЖБЫ И КУЛЬТУРНОЙ СВЯЗИ С ЗАРУБЕЖНЫМИ СТРАНАМИ

რედაქტორი ნ. ბარათაშვილი
თ ფ. ბ. ს.
ᲫᲔ 08604, შეკვ. № 140Ხ, ტირაჟი 500.